№ 281 დეკემბრის 30, კვირა. 1866—1884 დეკემბრის 30, კვირა. № 281

ტფილისი

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალალო თუთაევთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს

## „ივერიაზედ“

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს «ივერიას», უნდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) „დროების“ რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ Редакцію «Дроэба».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან «დროება» და «ივერია» ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს «დროებისვე» ადრესით.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

კვირას, იანვრის 6-ს,

სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტი გამართავს თბილისის «კრუჟოკის» დარბაზში

## ბალს

სკოლის სასარგებლოდ. ქალები შეიძლება დაესწრონ ბალს გულ-შეკრული კაბებითაც. ბალი დაიწყება საღამოს ცხრა საათიდამ.

ბილეთის ფასი ორ-ორი მანეთია. წინადვე ბილეთების ყიდვა შეიძლება შავერდოვის პავილიონში და კრუჟოკის შვეიცართან.

**ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობა** სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, მობრძანდენ არწრუნისეულ თეატრის ზალაში, 30 დეკემბერს, ამავე 1883 წლისას, დღეს, დილის 12-ს საათზედ, საზოგადოების საქმეების შესახებ, რადგან დანიშნული ამ გვარივე კრება 23-ს დეკემბერს ამა წლისას არ შესდგა, საკმაო წევრთა მოუსვლელობის მიზეზით.

თავჯ-მჯდომარე მმართველობისა
თ. რაფ. ერისთავი.

თბილისი, დეკემბრის 30-ს.

ერთად-ერთი დაწესებულება ჩვენში, რომელსაც შეუძლიან ხმა ამოიღოს საზოგადო საჭიროებებზედ არის თავად-აზნაურობა. ჩვენმა თავად-აზნაურობამ ამ ორ-წლი-ნახევრის წინად ღირსეულად გამოიჩინა თავი, როდესაც მიაქცია ყურადღება ყოველ იმ საგანს, რომელიც კი ჩვენის ცხოვრების სატკივარს შეადგენს. ოთხი რამ საგანი წამოაყენა წინ თავად-აზნაურობის კრებამ: ქართულის ენის გაძლიერება სასწავლებლებში, ერთ-ერთის ძველის ენის, სახელდობრ ბერძნულის მოსპობა, უფლების მოუსპობლად, ერობის შემოღება და გამიჯვნის საქმის აჩქარება.

ოთხივე ამ საგანს კომისიები შეურჩია განსახილველად და პროექტის შესამუშავებლად. ორი თუ სამი ამ კომისიისა ერთხელ თუ ორჯერ კიდევაც შეიკრიბა; ერთმა თუ ორმა მათგანმა თვის შორის კაცებიც დანიშნა პროექტის უმთავრესი მუხლების შესამუშავებლად, მაგრამ საქმე კი არც ერთს კომისიას არამცთუ ბოლომდის არ მიუყვანია, რიგიანად არც კი დაუწყია.

სწორედ ოთხი თვე დარჩა შემდეგს მორიგს კრებამდე თავად-აზნაურობისა და მასზედ უეჭველია ამავ საგნებზედ ლაპარაკი ჩამოვარდება და კომისიებს მოჰკითხვენ, თუ საქმე ამ ჟამად რა გვარს მდგომარეობაშია. წარმოიდგინეთ თქვენ, რა ყოფაში ჩაცვივიან კომისიის წევრნი, რომელნიც ან მუნჯად უნდა ბრალდებულებსავით ჩამომწკრივდენ კრების წინაშე და ყოველ გვარი ბრალი იკისრონ, ან თავი იმართლონ იმისთანა საბუთებით, რომელნიც არასად საბუთებად არ გამოდგებიან.

მაგრამ არის საშუალება და უბრალო საშუალებაც, რომ ესეთი სამარცხვინო მდგომარეობა კომისიის წევრებმა თავიდამ აიცილონ. ეს ის, რომ დანარჩენი ოთხი თვის განმავლობაში მაინც შეუდგენ ამ საქმეზედ ფიქრსა,—და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქმის საქმეზედ მოყვანა შესაძლებელია, თუ კი ფიქრს მოქმედებაც შეუდგება და არა გულ-ხელ დაკრეფით ჯდომა. მართალია, მოკლე ვადა დარჩა, მაგრამ ყოველ კომისიას არა თუ ჩვენში, სხვაგანაც, სადაც პარლამენტებმა, დღე არ გავა, რომ კომისია არ ამოირჩიონ,—ყველგან ყოველ კომისიას ჩვეულებადა სჭირს, რომ საქმე ბოლომდე გადასდოს და მხოლოდ მაშინ შეუდგეს, როდესაც ვადა სრულიად მიიწურება. მერე ოთხი თვე არც ისე მოკლე ვადაა, რომ ხსენებულ კომისიებს არ შეეძლოთ საქმის დამთავრება, თუ კი ერთგულობასა და ერთსულობას გამოიჩენენ.

ერთხელ კიდევ ამ წლის დასასრულზედ გავახსენებთ კომისიის წევრებს თავიანთ მოვალეობას და იმედსაც ვალვიარებთ, რომ ჩვენი ხმა უდაბნოში ღაღადების ხმად არ გაისმება.

«დროების» ფელტონი, დეკმ. 30-ს

### დედის ფიქრები

მთვარე ამოდის, ხალისად,
დასცქერის ქვეყნიერებას,
ყოველ სულიერს, უსულოს
უქადის ბედნიერებას....
კაკლის ხის ქვეშზის დედა
და აკვანს არწევს მწუხარედ,
ფიქრით შორს გატაცებული,
«ნანას» დაჰკვნესის მდუღარედ.

—

და ის სევდის ხმა პატარას
უტკბობს გონსა და გრძნობასა,
ედემის ბაღში დაჰფრენს,
გულს სტაცებს,ართმევს ცნობასა...
მაგრამ ხმა წყნარად შესწყდება,
დარდი მოიცავს მშობელსა,
ჰფიქრობს, თუ როდის დასტოვებს
იგი ამ წუთი-სოფელსა.

—

ჰფიქრობს შვილზედაც მშობელი:
ნეტავ ეს ჩემი ჩჩვილიო
რად არ იძინებს? «ნანინამ»
რად არ მოჰგვარა ძილიო?
ან იქნებ ნაღველს მოუცავს
და სტანჯავს რამე სევდაო?...
—«რას ჰფიქრობ, შვილო, რა გტანჯავს,
მოგიკვდეს შენი დედაო!...»

—

ამ დროს ყმაწვილი, რა კი რომ
ველარ სმენილობს მოთქმასა,
აღუღუნდება, ტიტინობს,
აკვანში იწყებს შფოთვასა,
თითქოს დედას სთხოვს: «დედილო,
დამატკბე სევდის ხმებითო,
ნაღვლით აზრდილნი ტანჯულნი,
ნაღვლიანადვე ვჰკვდებითო!»

—

ისევ აღიძვრის დედის ხმა
სევდით მოცული, მკვნესარე—
და ყურს დაუგდებს მის მოთქმას
ქვეყნად მთა-ბარი, ცით მთვარე.
შორს იადონი დაჰკვნესებს
ცრემლებით მორწყავს ფურჩქნილ ვარდს
და მშობელს, სევდით მომღერალს,
გაუზიარებს იგი დარდს.

—

მიეძინება პატარას,
ატკბობს სამოთხის სიზმარი
და აღარ ესმის ტკბილ ძილში
თავისი მშობლის ხმა მწარი,
რაც დედამ ცხადად უმღერა,
მასვე ოცნებობს ის ძილში,
ხან ნაღვლით ბოდავს, ხან ღხენა
იხატვის იმის სიცილში.

—

ბოლოს მშობელიც სდუმდება,
სევდით შეხედავს მთვარესა,
თვალს გადაავლებს მის ირგვლივ
სევდით მიმოცულს მთვარესა,
შემდეგ წყნარ-წყნარა ამთქნარებს
და აკვანს მიებჯინება,
ფიქრს მიეცემა მჰმუნვარედ
და წყნარად მიეძინება.

ცახელი.

### ალბომში.

***-სას.

ვით შემოდგომის ავდრიანს დღესა,
როს ბრწყინვალე მზე გამოაშუქებს
და ჯანღით მოცულს არე-მარესა
აცხოველებს და ამხიარულებს;

—

ეგრეცა, ტურფავ, შენი ღიმილი
შენსა ღაწვებზედ როს გამოკრთება,
ტანჯვა-ვაებით გული დაღლილი
კვლავ სიყვარულით აღფრთოვანდება.

—

მაშინ სიცოცხლე აღარ მჩანს ტვირთად
ოცნება კვალად მიხალისდება
და მოსაწყენტად შენის ღიმილის
დაყინებითა მოისწრაფება.

გ. ციმაკურიძე.

* * *

აღარც რწმენა და აღარც სასოება
აღარ ათბობს გაცივებულს ჩემს გულსა,
დღე-ღამ მტანჯავს სასო-წარკვეთილება... ვაი, გულსა უიმედოდ შთომილსა!

მეგობრები ნუგეშს ამით მცემენ:
„მოიცადე მოვა გაზაფხულიო
და შენს თვალწინ კვალად გაიფურჩქნება
შენი სატრფო ზამთრით დასუსხულიო“.

მოვდივარ და მოვტირი წუთი-სოფელს,
სიყმაწვილე მოლოდინში გავლიე,
მაგრამ მაინც იმა გაზაფხულისა
სიტკბოება ვერა და ვერ ვხვდიე.

გულო მაინც დაუჯერე მეგობრებს:
გამხნევდი და მოიეც სასოება;
ეს ავდარი ერთხელაც არი გადიღებს,
ამდენს აღმართს თავდაღმართიც ექნება.

გ. ციმაკურიძე.

## შინაური ქრონიკა

= მკითხველებმა იციან, რომ თბილისის სადგილ-მამულო ბანკის ნაღდი მოგების 35 პროცენტი მიდის თბილისის გუბერნიის მიწათ-მფლობელთა და მიწათ-მოქმედთა საჭიროებათათვის. ყოველ-წლივ საზოგადო ყრილობა გადასწყვეტს ხოლმე, რა საქმეს უნდა მოხმარდეს ეს ფული. 1882 წელს საზოგადო კრებამ გადასწყვიტა, რომ იმ საგნების აღნიშვნა, რომელთაც ეს ფული უნდა მოხმარდეთ, შეეძლოს მხოლოდ ამ ბანკის დამფუძნებელ წევრთა და არა ბანკის ყველა წევრთ (წესდების ძალით ყოველი ამღები სესხისა ბანკიდამ წევრად ითვლება ვალის გადახდამდე). ამას გარდა, რომ ამ მუხლის შეცვლა შეიძლებოდეს მხოლოდ მაშინ, თუ შეცვლას ორი მესამედის ხმის უმეტესობა გადასწყვეტს ორს ერთმანეთზედ მიმდევარ მორიგ კრებაზედ, რომლებზედაც დამსწრე წევრთა ნახევარს დამფუძნებელნი შეადგენენ. გარდაწყვეტილება 1882წ. კრებისა გაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს და სამინისტრომაც თხოვნა კრებისა პატივცემაში მიიღო, მხოლოდ გამოაცხადა აზრი, რომ იქნება უკეთესი იყოს ხსენებული ფულის მოხმარება გადაეცეს თავად-აზნაურთა კრებასაო. გამგეობამ ბანკისამ და ზედამხედველმა კომიტეტმა განიხილეს ქაღალდი სამინისტროდამ გამოგზავნილი და გადასწყვიტეს იშუამდგომლონ, რომ ფინანსთა სამინისტრომ ის აზრი შეუცვლელად დაამტკიცოს, რომელიც საზოგადო კრებამ მიიღო.

= ჩვენს გაზეთში იყო ერთხელ ნათქვამი, რომ სვანეთის პრისტავმა მარჯანოვმა მოიწადინა იმ ჩვეულების მოსპობა, რომლის ძალითაც სვანები სხვის ცოლებს იტაცებენ, ან გასათხოვარ ქალებს ჯვარ-დაუწერელად, და იმათთან სრულის ცოლ-ქმრობის წესით სცხოვრობდენ. ბ. მარჯანოვს დაებრუნებინა უწინდელ ქმრებისათვის თავ-თავიანთ ცოლები და ამით დიდი უსიამოვნობა გამოეწვია სვანეთში, რადგან ზოგიერთნი ამ გვარად დაკავშირებულნი „ცოლ-ქმარნი“, ოცი ოც-და-ხუთი წელიწადი ერთად სცხოვრობდენ და ბევრს შვილებიცა ჰყავდათ თურმე. სექტემბრის პირველს ჩასულა ბ. როდზევიჩი, ლეჩხუმის მაზრის უფროსი სვანეთში, და გამოუცხადებია ხალხისათვის, რომ უკანონო ცოლების დაბრუნების ნება გაქვთო. მომეტებულ ნაწილს ხალხისას ეს ბძანება დიდის სიამოვნებით მიუღია.

= გუშინ მოხდა ხელ-მეორედ ვაჭრობა თბილისის სადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულ მამულებზედ. იყიდებოდა 16 მამული; გაიყიდა 5 სოფლისა და 1 ქალაქისა; ბანკს დარჩა 10 მამული (6 ქალაქისა და 4 სოფლისა), რომელზედაც გაცემულია 134,400 მანათი გირავნობის ფულებით.

= საქართველოს ისტორიის მოყვარულთ იციან, რომ ოთხი წლის განმავლობაში, 1779 და 1783 წელთ შორის, საქართველო მიმოვლო და აღწერა ერთმა მსწავლულმა ნემეცმა, სახელდობრ დოქტორმა იაკობ რაინეკსმა. მისი აღწერა არა ჰგავს საქმეთა და გარემოებათა უცოდინარ მოგზაურების ნაწერებს, რომლითაც ასე მდიდარია მგზავრობათა ლიტერატურა. რაინეკსი, როგორც ერთი უგანათლებულესის ერის ინტელექტთაგანი და განვითარებული პირი, პირის-პირ იცნობდა საქართველოს მეფეს გმირთა-გმირს ერეკლეს, დადიოდა მისს სასახლეში, გაიცნო ზედ-მიწევნით მაშინდელი ჩვენი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მდგომარეობა და საზოგადო მოღვაწენი, გადავიდა იმერეთში, საქართველოს დასავლეთი ნაწილში და გაიცნო იქაური მეფის კარიც და დიდებულნი და ყველაფერი ეს აღწერა ერთს მოზდილ წიგნად. ეს წიგნი, 1796 წ. გოტაში გამოცემული, ჩვენ ვნახეთ ბ. გაბრიელ ხატისიანის ხელში, რომელიც აპირობს მისს თარგმნას ქართულად. თქმა არ უნდა, რომ დიდი მადლობის ღირსი იქნება ბ. გ. ხატისიანი ამ ფრიად საჭირო შრომის თარგმნისათვის.

= ქრისტიშობისთვის 15 თელავიდამ გვატყობინებენ: თელავში გამართულ იქმნა სალიტერატურო საღამო ქართული სიმღერებით, ახლად დაარსებული წიგნთ-საკითხავის სასარგებლოდ, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება აწარმოვა მსმენელებზე. წიგნთ-საკითხავს შემოუვიდა სულ 63 მანათი და 90 კაპეიკი, რომლიდამაც გამოირიცხა ხარჯი და წმინდა შემოსავალი დარჩა 51 მანათი და 33 კაპეიკი.

= მკითხველებს ეხსომებათ, რა აყალ-მაყალი ასტეხა სურგუნოვის ცოლის სიკვდილმა თბილისის ექიმების შორის. აქამდე კაცს ეგონებოდა, რომ ამ საქმეში მხოლოდ დოქტორი კასპარიანცი და მიკირტიჩიანცი იყო დამნაშავე ღირსი განკიცხვისაო და ახლა კი არც ანანოვი გამოდის უდანაშაულო და განსპეტაკებული. ამ საგანს ცხადად განმარტავს თვით ბ-ნის სურგუნოვის წერილი, რომელიც გაზ. «ნოვ. ობოზ.»-შია დაბეჭდილი და რომელიც ვგონებთ საინტერესო იქნება ჩვენის მკითხველებისათვისაც. აი, თვით ის წერილიც:

«მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! რაღაც უბედური შემთხვევით, ჩემმა ცოლის სიკვდილმა დიდი განხეთქილება მოახდინა ჩვენის უძლურის ხორცის სენთა მკურნალებს შორის. მათმა გაცხარებულმა ბრძოლამ თვალები ამიხილა მეც, ნათლად დამანახვა ყოველივე ამ საქმის შესახები გარემოება და ბევრად გააძლიერა ჩემი მწუხარება. იმ სიტყვებიდამ, რომელიც წარმოსთქვა ბ-ნმა ანანოვმა მედიცინურის საზოგადოების სხდომაზე, მე შევიტყე, რომ ჩემთვის ძვირფასი მეუღლე დავკარგე არა იმიტომ, რომ ასეთი იყო განგების ნება, არამედ იმიტომ, რომ დროზედ არ ვიხმარე ყოველი ღონისძიება მის მორჩენისათვის.

თქვენ თითონ განსაჯეთ შემდეგი, ფაქტების მიხედვით. ჩემს ორსულს ცოლს სისხლის დენა დააწყებინა. მე მივმართე აკუშორს დოქტორს ანანოვს, რომელმაც გასინჯა ავადმყოფი და მითხრა, რომ თქვენი ცოლი სრულიად კარგად არისო. ხოლო რაც სისხლის-დენას შეეხება, ეს გარემოება არ უნდა გაწუხებდეთ, რადგანაც ეგ ერთი ჩვეულებრივ ნიშანთაგანია ორსულობისაო. სისხლის-დენა მოესპო და მერე ავადმყოფს ხველა დააწყებინა. ხველის შესახებაც ბ-ნი ანანოვი იმ გვარადვე მანუგეშებდა. მაგრამ რადგან მე მაინც ძრიელა ვსწუხდი, ანანოვმა თავისით მოიწვია ბ-ნი გარალევიჩი. ამან გაუსინჯა ქალს გული და სთქვა, რომ ფილტვებში არაფერი ზადი არა აქვსო. ამის შემდეგ ანანოვმა მითხრა: „აი, ხედავთ, აკი გითხარით, ტყუილად სწუხართ და თქვენს ცოლს გული არა სტკივაო“. ამ გვარად ანანოვი, როგორც აკუშორი მოდიოდა ავადმყოფთან სექტემბრის დამლევიდამ ნოემბრის დამლევამდე, ე. ი. თვით მშობიარობამდე. ახლა კი ვტყობულობ, ჩემი ცოლი იმიტომ გარდაიცვალა, რომ ფილტვები ჰქონია დაშავებული და დიდის ხნის ჭლექი ყოფილა. თავის დროზედვე რომ შემეტყო ეს ამბავი, მაშინ აკუშორი რაღად დამჭირდებოდა? და რისთვის დადიოდა ორი თვის განმავლობაში ჩემ ძვირფას ავად-მყოფთან აკუშორი ანანოვი, როდესაც საჭირო იყო არა ეს უკანასკნელი, რომელსაც მისივე სიტყვით, არას დროს თავის საქმის გარეშე, სხვა არა უსწავლიარა, არამედ საჭირო იყო გამოცდილი და დახელოვნებული ტერაპევტი.

ნოემბრის 8 ავადმყოფი ადვილად განთავისუფლდა ორსულობისაგან. როცა ავადმყოფს სიცხე მისცა, ბ. ანანოვმა მოიწვია დოქ. გარალევიჩი და გამომიცხადეს, ფილტვების ანთება აქვსო და 8 დღის შემდეგ გაივლისო. მართლაც 8 დღის უკან მითხრეს, რომ ანთებამ გაიარა და მხოლოდ მარჯვენა ფილტვის ზემო ნაწილს არა შორდებაო.

ახლა დამტკიცებულია, რომ არა თუ ერთი ნაწილი, იქნებ მთლად ფილტვი აღარც-კი ჰქონდა ავადმყოფს იმ დროს. ჩვენ ყველანი დამშვიდებულნი ვიყავით დეკემბრის 6-დე, მაშინკი ანანოვი მეუბნება: „მე და გარალევიჩი დავბერდითო, საჭიროა ახალგაზდა დოქტორი მოვიწვიოთო.“ ანანოვის რჩევით, მოწვეულ იქმნა დოქ. პავლოვსკი, რომელმაც მითხრა, რომ თქვენს ცოლს ქრონიკული ანთება აქვს ფილტვებისაო. ამასობაში ავად-მყოფს რომ ვუცქეროდით ჩვენ თავადვე მივხვდით, რომ ყურის დაგდება შეუძლებელი იყო, ამის გამო ჩემმა სიმამრმა, ჩემს დაუკითხავად მოიწვია დოქ. კასპარიანცი, ხოლო ამ უკანასკნელმა გვითხრა, რომ მიკირტიჩიანციც მოგვეწვია ავად-მყოფის საერთოდ გასასინჯად. ეს რომ შევიტყე, ანანოვს დავუწყე ძებნა, მინდოდა შემეტყობინებინა, რომ არა სწყენოდა ეს გარემოება, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვე. ორს საათზე ავად-მყოფი ნახეს დოქ. კასპარიანცმა და მიკერტიჩიანცმა; მოვიდა ბ. ანანოვიც, რომელმაც შეიტყო თუ არა, რომ სხვა ექიმები მოუწვევიათო, ერთი ყოფა დაუწია ჩემს სიმამრს. ამ ამბავს დაწვრილებით არ მოვყვები, რადგან ძალიან გაგრძელდება წერილი და სამძიმოც არის ჩემთვის. ვიტყვი მხოლოდ, რომ ბოლოს ანანოვმა უთხრა: „ახლა არც ერთი ჩვენგანი თქვენთან აღარ მოვაო.“ მართლაც ჩვენ მძიმე დამნაშავენი გამოვდიოდით „ექიმების წესის დარღვევისათვის“ და ამისათვის სასჯელიც უნდა აგვეტანა: ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და იმ დღეს ავადმყოფი ღვთის ანაბარად იქმნა დარჩენილი, მხოლოდ მეორე დღეს დილის ხვეწნით და ვედრებით მოიყვანა ჩემმა სიმამრმა დოქ. კასპარიანცი.

აი, სულ ეს არის სამწუხარო მოთხრობა. რა გამოდის აქედამ, თვითონ მკითხველმა განსაჯოს. ხოლო მე უნდა თავში ვიცე და ვიწუხო იმიტომ, რომ არ ვიცოდი, რითი იყო ავად ჩემი ცოლი იმიტომ კიდევ, რომ ჩემ მიერ მოწვეულმა დოქტორებმა ისე გვიან მითხრეს „დავბერდითო.“

ა. სურგუნოვი.

= ამიერ-კავკასიის რკინის გზიდგან, ტფიბულის შტოს გარდა, რომელიც ამ მოკლე ხანში იქნება მზად, როგორც სწერენ „მოსკოვის უწყებებს“ განზრახვა აქვთ გაიყვანონ მეორე შტო ქ. სიღნაღისკენ. იმედი აქვთ, ამბობს გაზეთი, რომ ეს გზა დიდს სარგებლობას მისცემს კახეთს, რომელსაც შეძლება ექნება გაიტანოს სხვა-და-სხვა მაზრებში გასასყიდად ადგილობრივნი ნაწარმოებნი: ღვინო, აბრეშუმი, მატყლი, თუთუნი, ხე-ტყე, სამღებრო მცენარენი და სხვა აღურიცხველი სიმდიდრე ამ ქვეყნისა, რომელსაც უგზოობისა და ეკონომიური განუვითარებლობის გამო ყოველივე ეს სიმდიდრე ძალიან მცირე სარგებლობას აძლევდაო.

= პოლიციის სამმართველოს გადასვლის გამო ახალ საქალაქო სახლში ამ თვის 27 პარაკლისი იქმნა გადახდილი და შემდეგ საუზმე გაიმართა. დაესწრნენ ბ. თბილისის გუბერნატორი, ქალაქის თავი, ზოგიერთი ხმოსანნი და წარმომადგენელნი პოლიციისა. საუზმის დროს რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვეს. პოლიც-მეისტერმა ქალაქის სახლის აშენებაზე ილაპარაკა და სთქვა, რომ ეს გარემოება სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან რამდენიმე დაწესებულებანი ერთად ერთს სადგომში იქმნენ მოთავსებულიო. გუბერნატორმა სადღეგრძელო დალია საქალაქო რჩევისა და ისურვა მისთვის სასარგებლო მოღვაწეობა. დასასრულ ქალაქის თავმა სთქვა, რომ საზოგადო სამმართველოს საქმეები მხოლოდ მაშინ იწარმოებენ კარ-

გად, თუ თანხმობა და პატივის-ცემა იქნება ადმინისტრაციისა და თვით-მმართველობის შორისო, რომ ცრუ აზრს ჰქადაგობენ ისინი, ვინც ამ ორს დაწესებულებას ერთმანეთის წინააღმდეგ დაწესებულებად სთვლიანო და სხვ. და სხვ. („ნოვ. ობოზრ.“).

## „დროების“ კორესპონდენციები

**ბათუმი**, დეკემბრის 25-ს. მიიწურა მომდინარე წელიწადი. სანამ ამ წელს ჩავაბარებდეთ წარსულს საუკუნეთა, ბარემ თანვე გავატანოთ ყველა უწესო ამბები, რომელთაც პროვინციალური მეთვალყურე ვერას გზით მხარს ვერ აუქცევს. იქნება ახალმა წელიწადმა ისეთის ატმოსფერით დაჰბეროს ჩვენს უბედურს ცხოვრებას, რომ კარგის და სასარგებლო ამბების მეტი აღარა ვენახოთ რა გაპრელებული გაზეთების ფურცლებზე. წადი, ძველო წელიწადო, წინ წყალი და უკან მეწყერი. მაინც საშინელი კოტრი და დაუდგრომელი წელიწადი იყო ეს წელიწადი!..

ამ დღეებში ორი ყმაწვილი ქალი იპოვეს ჩაკეტილ ოთახში გაფიჩხებულები. მიზეზი ამ საშინელის შემთხვევისა ყოფილა ნახშირის სული, რომელიც გავრცელებინა უბედურების საწოლ ოთახში გაჩაღებულს მაყალსა. როგორც გინდა იფიქრეთ, მაგრამ საშინელი სურათია შესახედავად, როცა ერთი სახლიდგან ერთსა და იმავე დროს ორი კუბო გამოაქვთ! ამას წინად არა ამაზე ნაკლები ამბავი მოხდა ბათუმის ახლო რკინის გზის ლიანდაგზე. ერთ ყმაწვილს (მიხაკო შავარდენაძეს) თავს დაესხნენ რამდენიმე ყიზილბაშები, რომელთაც თურმე გაუპატიურება სურდათ ყმაწვილისა. შესრულეს მტარვალებმა თავიანთი უბადრუკი და ყოვლად საზიზღარი წადილი, თუ არა, არ ვიცი, მხოლოდ ბავშვი ოც ალაგას დასჭრეს. დასახიჩრებული ყმაწვილი ნ. ხუდადაშვილმა მიიყვანა საავად-მყოფოში, სადაც დღესაც წვალობს უბედური მსხვერპლი. ამბობენ სასიკვდილოდ არ არის დაჩეხილიო. მსეც თქვენი მეცხრამეტე საუკუნე, აქ კაცის გაუპატიურება, უწყალოდ მისი ჩეხა, ქაზანში კიდევ ქათმის პროცესი!!

შევიხედოთ ახლა ბათუმის საპატიმროში. დიდი ჩოჩქოლი და ფაციფუცი აქვთ ერთმანეთში პატიმრებს. აგერ პატიმარი წითელი ტანისამოსით—რა ამაყად და გაბედვით იყურება—ეტყობა თვისის თანამდებობით ამპარტავნობს! ეს გახლავს ჯალათი, რომელიც ამ დღეებში ტფილისიდგან დაიბარეს. ამან უნდა მოიყვანოს აღსრულებაში სამხედრო სამსჯავროს გარდაწყვეტილება, რომლითაც უნდა ჩამოხრჩობილ იქმნას საპატიმროს გალავანში ქობულეთის ახლოს ჟანდარმის მკვლელი ჩურუქსუელი მაჰმადიანი.

აგერ კიდევ სურათი: რამდენიმე ისრაელნი ერთად შეკრებილან რამდენსამე ალაგას და გაცხარებულად ბაასობენ. რაღაც არა-ჩვეულებრივი ჩოჩქოლია; აგერ კიდევ ხახამი ამალით! ნუ შეფუცხუნდებით, თუ გიყვარდეთ, ძენო და ასულნო ისრაილისანო? სასტიკად გამოეცხადათ პოლიციიდგან ყველა ურიებსა, რომ ბათუმში შეუძლიანთ ივაჭრონ და იცხოვრონ მხოლოდ პირველი ხარისხის (გილდიის) ვაჭრებმა, დანარჩენები უნდა წაბრძანდენო აქედგან. აი, საგანი ამათის თავშეყრილობისა და ბაასისა. ამბობენ ტყუილად არ ჩაუარათო ურიებსა ამდენმა ლაყბობამ და ბაასმა ქუჩებში—იქამდის გაუჩარხავთ თავიანთი საქმე, რომ სასტიკ განკარგულებას კომენტარიები გამოუძებნინეს.—ამ განმარტებით აღმოჩნდება, რომ ბათუმელი ურიები უბრალო ვინმეები-კი არა ყოფილან—პირველი ხარისხის ვაჭრების ,,პრიკაშჩიკები'' ბრძანებულან. აბა ამაზე არის ზედ-გამოჭრილი ჩვენი გონივრული ანდაზა: ,,ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.''

ახალი ბულვარის პირ-და-პირ ბურუნტაბიიდგან თითქმის ქალაქის საპატიმრომდე სულ მშვენიერი სახლებია გადაჭიმული. ამ ჩამწკრივებულ სახლებ-შუა ქალაქის საავად-მყოფოების ახლოს, თვალში საჩოთიროდ ერთი ცარიელი ადგილი ეგდო. მართლა რო კაცს ეჩოთირებოდა თვალში ეს ცარიელი ადგილი. მადლობ ღმერთს, ამ ადგილზედაც აიჭიმა უზარ-მაზარი სასახლე ევროპიულს გემოვნებაზე. ეს სახლი გააკეთებინა ბათუმის პოლიცმეისტერმა ,თავისის საკუთრის ხარჯით.

ორი სიტყვა ლამოქნაზე და მერე მშვიდობით ახალ-წლამდის. ამას წინედ ერთმა წევრმა და ერთმა მისმა ხელ-ქვეითმა მოხელემ ბათუმიდგან კონტრაბანდა გაუშვეს. კონტრაბანდა დაბეზღებით დაიჭირეს—ერთი მოხელე იმითი დასაჯეს, რომ ფოთში გადიყვანეს ისევ წევრად, მეორე ჯამაგირს იღებს, თუმცა თანამდებობა ჩამოართვეს. ბარეშე მეკონტრაბანდეებს სულსაც-კი უყიდიან და შინაურს მეკონტრაბანდეებს-კი, ხედავ, როგორა სჯიან—ამაზეა ნათქვამი: გარეულს დაეშურეო, შინაური სად წაგივაო...

## რუსეთი

ფოსტისა და ტელეგრაფის უმაღლესის სამმართველოს ოფიციალურის ცნობით ვასწორებთ იმ შეცდომას, რომელიც ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში მოგვივიდა.

ახალ ფოსტის ნიშნებად (მარკები, კონვერტები და ბლანკები) ითვლება ისინი, რომელნიც გასულს 1884 წელს იქმნენ გამოცემულნი. ამ წელს, ახალი ნიშნების შემოღებისათანავე, გამოცხადებული იყო, რომ ძველი ნიშნები, რომელნიც 1884 წლამდის ყოფილან გამოცემული, აღარ გამოდგებიანო 1885 წლის 1 იანვრიდამ. მაგრამ დღეს ზემოხსენებულმა სამმართველომ კიდევ გააგრძელა ეს ვადა. ძველი ფოსტის მარკები, კონვერტები და ბლანკები (1884 წლამდის გამოცემულნი) იქმნებიან ხმარებაში კიდე მომავალის 1885 წლის ივლისის 1-მდის.

—

ორი წელი სრულდება, რაც განათლების სამინისტროში ამტყდარია სჯა ძირითად ცვლილების მოსახდენად რეალურს სასწავლებლებში, მაგრამ დღემდე ვერავითარს დასკვნამდე ვერ მისულან. ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ პედაგოგიურს რჩევათა წარუდგენიათ სამინისტროსათვის თავიანთი აზრი ამ საგნის შესახებ. ამათგან რამდენიმე (რჩევა) იმ აზრისაა, რომ რეალურ სასწავლებლების პროგრამა ძირეულად უნდა იქმნეს შეცვლილიო; ზოგიერთთა (რჩევების) წინადადებით კი საკმაოა მცირეოდენი ცვლილების მოხდენა ამავე პროგრამაში და მოწაფეთათვის შემსუბუქება სასწავლო საგნებისა.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სრულის ტეხნიკური განათლების მისაღებად იმ პირთაგან, რომელნიც მსახურობენ ტელეგრაფის ნაწილში, საჭიროდ სცნო „ტელეგრაფის ინსტიტუტის“ დაარსება პეტერბურგში. ეს ინსტიტუტი იქმნება ამ სამინისტროს გამგებლობის ქვეშე და დაექვემდებარება ფოსტისა და ტელეგრაფის უმაღლესს სამმართველოს. ინსტიტუტში იქმნება სამ-წლიური კურსი. პირველ კურსში მიიღებიან რუსეთის ქვეშევრდომნი მართლ-მადიდებლის სარწმუნოებისა, მამრობით სქესისანი, რომელთაც რიგიანად დაუსრულებიათ სრული კურსი საშუალო სასწავლებელთა მაინც. ტელეგრაფის ინსტიტუტი ითვლება პირველ ხარისხის სასწავლებლად, აქვს ბეჭედი სახელმწიფო გერბით.

—

უმაღლესმა მმართებლობის უწყებამ თანაგრძნობით მიიღო სამხედრო სამინისტროს წარდგინება იმის შესახებ, რომ 1885 წლიდამ დაწყებული ყოველ წლივ სახელმწიფო ხაზინიდამ გადადებულ იქმნას 236,000 მან. გვარდიისა და არმიის ჯარის აფიცრების კრებებისათვის. მომავალ წელს ამ საგნისათვის ხსენებულს სამინისტროს გადაეცემა 100,000 მან., და კრებების გახსნისა და ამ საგნისათვის საჭირო გადასახადის ზღვევის შემდეგ, ორის წლის განმავალობაში, ამ საქმეზე გადაიდება ხაზინიდამ სრული გამოთხოვილი 236,000 მან.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია, ცვლილება მოახდინოს ფოსტის მოსამსახურეთათვის დაარსებულს გამსესხებელ-დამზოგველის კასის წესდებაში. ამ ცვლილებათა შორის, რომელნიც დიდს სარგებლობას მოუტანენო აუარებელ რიცხვს მოსამსახურეთა ფოსტისა და ტელეგრაფის უწყებაში, უფრო საყურადღებონი არიან შემდეგნი: ა) ცალკე კასების საზოგადო კრებას უფლება აქვს, თავისის შეხედულობით, განსაზღვროს, მეტი თუ ნაკლები ჩამოუჭრას ყოველ თვე და თვე ჯამაგირიდამ იმ მოსამსახურეთ, რომელნიც კასაში მონაწილეობას იღებენ; ბ) სამსახურიდამ გამოსულს წევრს იმ ფოსტის დაწესებულებიდამ, სადაც კასა არსებობს, ფოსტის მოსამსახურეთადა-გვარად შეუძლიან კიდევ მიიღოს კასაში მონაწილეობა, მხოლოდ ამ შემთხვევაში თანხმობა უნდა იყვეს საზოგადო კრების წევრთა ორი მესამედის ხმისა.

—

მომავალ 1885 წელში გაყვანილ იქმნება 960 ვერსი ახალი რკინის გზები სხვა-და-სხვა კუთხეში რუსეთის იმპერიისა. ამ გზებისათვის მთავრობას გადადებული აქვს ცხრამეტი მილ. მან.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ეგვიპტის საქმეების განრჩევამ 1885 წელსაც გადაბიჯა. სახელმწიფონი ვერ შეთანხმდენ ვერას გზით. როგორც ეგვიპტეს ქედივი ისე მთელი ამის სამინისტრო და მასთან, ინგლისის გარდა, ყველა ევროპის სახემწიფონი იმ აზრისა არიან, რომ გერმანიასა და რუსეთსაც მიეცეთ უფლება, გაერიონ ეგვიპტის საქმეების გარიგებაში. ერთი მხოლოდ ინგლისი ეწინააღმდეგება ამ ორ ევროპის უდიდესს სახელმწიფოთაგანის მონაწილეობის მიღებას ეგვიპტის საქმეების მოწყობაში. ინგლისის წინადადებაზე ამ საგნის შესახებ თითქმის ყველა სახელმწიფოთა უარი განაცხადეს. ყველანი უცდიან, რა ზომას მიიღებს ამ საქმეების შესახებ საფრანგეთის მმართებლობა.

საფრანგეთი-კი იმ აზრისაა, რომ ამ საქმეების განრჩევას აჩქარება არ არგებს; რომ ეგვიპტის მდგომარეობა ისეთ გამოურკვეველს რასმე წარმოადგენს, რომ მის მოწყობას, განრჩევას კარგა ძალი დრო მოუნდება. საჭიროა, დიდი წინ-დახედულობა, გაზომვა, რომ შემდეგ პასუხის-მგებელი არ შეიქმნეს ეგვიპტეს ბედისა, რომლის გადაწყვეტა ყველა ევროპის სახელმწიფოთა უნდა იკისრონ. და აქედამ ცხადად სჩანს—საფრანგეთიც ყაბულსაა გერმანიის და რუსეთის გარევაზედ ეგვიპტის ბედის გადაწყვეტაში. ასე რომ ინგლისმაც ძალა-უნებრივ თითი უნდა მოიკაკოს და მიჰყვეს ხალხთა-შორებრივს ნებას.

**ინგლისი.** ინგლისელ ჯარების ბანაკში ცუდი ამბავი მოდის მაჰდისა და ამის ჯარის მდგომარეობაზედ. ამ ბანაკში მოსულა ერთი არაბი და აუწერია მაჰდის ჯარების გარემოება. ცრუ-წინასწარმეტყველი თავის ჯარით ცუდს-ყოფაში არიან ჩავარდნილიო და დიდ-ძალი რიცხვი ჯარისა კიდეც

გაეფანტ-გამოეფანტენ მაჰდისო, როდესაც ინგლისელების მოახლოება გაიგესო. ზოგი მაჰდის მიმდევარნი ხართუმშიაც გამოცხადდენო, რომ გრძნობა ქვეშევრდომობისა გამოუცხადონ გენ. გორდონსაო. მაგრამ ზოგიერთა სამხედრო კორესპონდენტები იწერებიან, რომ ინგლისის ჯარების უფროსები დიდს უმეცრებას გამოიჩენენ, თუ ბრმად დაენდვენ ესეთს ცნობებს მაჰდის ჯარების მდგომარეობაზე. აქ სულ სხვა განზრახვა იფარვისო. მაჰდის ჰსურს, რაც შეიძლება სამხრეთით გაიტყუილოს ინგლისელები და აქ, ამ უდაბნოებში, დაასუსტოს ისინიო. ეჭვი არაა, რომ ამ გვარი ამბავის მომტანნი მაჰდისაგან არიან გამოგზავნილნი განგებაო.

**ავსტრო-ვენგრია.** კათოლიკების დასი შესამჩნევ ძალას იჩენს ავსტრო-ვენგრიაშიაც. ეს დასი თანაბარია «ცენტრის» დასისა გერმანიაში და თუმცა ამის გვარი პოლიტიკური მნიშვნელობა და გავლენა არა აქვს, მაგრამ ძლიერად იბრძვის კათოლიკურ მისიისათვის და პაპის საერო უფლებათა დასაცველად. ეს დასი კარგა ხანია ჰფიქრობდა თვის უფლებათა წარსამატებლად ავსტრო-ვენგრიის რომელიმე ქალაქში დაეარსებინა კათოლიკური უნივერსიტეტი. არა ერთხელ გამოითხოვა მთავრობისაგან, რომ ერთ-ერთი უნივერსიტეტი კათოლიკურად გადაეკეთებინა, მაგრამ უბრალო ცდა გამოუვიდა. უკანასკნელ ხანებში-კი დასის მოთავეთა დაბოლოებით გადასწყვიტეს კათოლიკური უნივერსიტეტის დაარსება ქ. ზალცბურგში. ამის თაობაზედ კათოლიკეთ მოუხდენიათ კრება, რომელზედაც ბევრი აღტაცებული სიტყვები წარმოუთქვამსთ. — ეს უნივერსიტეტი აღზრდისო, ულაპარაკნია ერთ კათოლიკეთ ეპისკოპოსს მიამავალ ერთგულ მებრძოლთა კათოლიკე ეკლესიისათვის. ერთმა ორატორმა შეადარა ფაქტი უნივერსიტეტის გახსნისა დასავლეთს აფრიკაში ქრისტიანობის აღდგენას. თუმცა საჭირო ფული უნივერსიტეტისათვის ჯერ არ შეკრეფილა, მაგრამ მოთავენი იმედს არ ჰკარგვენ და ამ მხრით ამ დიდს საქმეს დაბრკოლება არ აღმოუჩნდებაო. „ფული იქმნებაო, მიუმართავს თავს-მჯდომარეს კრებისათვის, ოღონდ სიმამაცეს ნუ დავკარგავთო! ნუ შევუშინდებით მას, რომ ვინმე სახელმწიფო კაცი (თ-დი ბისმარკი) შუბლს შეჭმუხვნის, როდესაც ჩვენს წადილს გაიგებს, ჩვენ მოვალენი ვართ აღვასრულოთ ის, რასაც გვიბრძანებს სჯული და მამულის მოყვარეობა.“

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

დეკემბრის 28.

**პეტერბურგი.** შესწორება წარსულის ტელეგრამისა სატამოჟნო ბაჟის მომატების შესახებ: ჩაიზე ევროპის სამზღვარზე 4 მან., აზიისაზე — 5 მან. ფუთზე.

**პარიჟი.** ნაფიცთ მსაჯულთ გაამართლეს ქ. ჰიუგი, მაგრამ გადაუწყვიტეს 2000 ფრანკის გადახდა სამოქალაქო მომჩივანის სასარგებლოდ და აგრეთვე სასამართლო ხარჯისა.

## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — — 1 გირ. 5 კ.

ახალქალაქის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — — 1 გ. $2^1/_2$
მეორისა — — — 1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:
პირველი ხარისხის — 1 გ. $4^1/_2$
მეორისა — — — 1 გ. 3 კ.
მესამისა — — — 1 გ. $2^1/_2$

ჯვარის-მამი პური:
პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$
მესამისა — — — 1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 კ.
მეორისა — — — 1 გ. 7 კ.
სუკი . . . — 1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი — 1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 კ.
მეორისა — — — 1 გ. 7 კ.


## განცხადებანი

### კოპტონი

იაფად იყიდება ხარ-კამბეჩის გასასუქებლად სამსონ მღებროვის ზეთის ზავოდში, ერევნის ქუჩაზედ, საკუთარს მღებროვის სახლებში, № 25 მე-6 განყოფილება, ქ. თბილისში. (3—2)

გამოვიდა და იყიდება

### გალია

თხზულება აკაკისა.

**თბილისში** — ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და შავერდოვთან.

**ქუთაისს** — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. იქვე იყიდება სხვა თხზულებებიც აკაკისა. (5—2)

### ვექილი

ვიცავ ყოველგვარს სისხლის სამართლის საქმეებს. უსასყიდლოდ ვექილობ და რჩევას ვაძლევ ღარიბთა. ვცხოვრებ ვაგზალთან, „ზოლოტოი იაკორის“ სასტუმროში, ი. ა. კაცაი. (8—5)

### საახალწლოდ!

კარგი რომი, კონიაკი, სხვა-და-სხვა ლიკიორები და ნალივკები, არაყები შტრიტერისა და პაპოვისა და აგრეთვე სხვა სასმელები. კარგი ქილკა და მეშოკის ხიზილალა, ყველი შვეიცარიისა და ჩესტერი, კარგი სარდინკები. შოკოლადი და სხვა-და-სხვა კანფეტები; საგანგებო ყავა „მოკო“, ჩაი პაპოვისა და აგრეთვე კარგი ლილა. ეს ზემოხსენებული საქონელი იყიდება წვრილად და პარტიით საკომისიო სკლადში არწრუნისეული თეატრის ქვეშ, ეზოში. (1—1)

მომზადება და გასყიდვა ხსენებულის წასასმელის წამლისა, რომელშიაც არა ვითარი კაცის ჯანისათვის მავნებელი ნავთიერება არ-ურევია, ნება — დართულია მოსკოვის საექიმო მმართველობისაგან საერთო სავაჭრო წესით.

„პერუინი“

წვენი პერუვიულ საბალზამო მცენარეთაგან, დიდის ხნიდამვე ყველა ქვეყნებში ცნობილი საშუალება.

**ხშირის და ლამაზის წვერის გასაზრდელად.**

წვენი, რომელსაც ამზადებენ პერუვიულ მცენარეთაგან, როგორც ვიცით, ზოგიერთა თმის საზრდელ და თმაზე წასასმელ წამლების არევით, იღებთ შესანიშნავს თვისებას წვერის თმის ძირის გამაგრებისთვის და საკვირველად სწრაფად ეხმარება მის ზრდას.

ეს საშუალება ისეთი ნამდვილი საშუალებაა,

რომ პერუინის ხმარებით თვით ახალ-გაზდა ყმაწვილებსაც კი რამდენსამე კვირის შემდეგ, ეზრდებათ მშვენიერი და ხშირი წვერი.

მრავალი სამადლობელი წერილები.

მოწმობენ განსაცვიფრებელს მოქმედებას, ფასი შუშისა 1 მან. 50 კაპ. მაგზავნით იყიდება რუსეთის ყველა სააფთეკო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ-კავკასიისათვის თბილისში საზოგადოება სააფთიექო საქონელითა და მასალით ვაჭრობასა და მისი განყოფილება ბაქოში. Ц. 19,475.
(10—7)

რამაშკა ბურელისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. შრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშკა ბურელის“ ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

იყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ-კავკასიისათვის არის თბილისში „კავკასიის საზოგადოება სააფთიაკო საქონლით ვაჭრობისა და მის განყოფილებში ბაქოს. Ц. 19,485
(25—7)

ახლად მივიღე მომავალი დღესასწაულებისთვის საუკეთესო ღვინოები თ-დი ჭავჭავაძის და სხვის მამულებიდგან. იყიდება: ბოთლი 15 კაპ. — 1 მანეთამდის, თუნგი 70 კაპ. — 3 მანეთამდის ძველი, პირველის ხარისხისა.

პადვალი იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ლეჩებნიცის ქვეშ.
(3—2) ს. ი. კურდღელოვი.

Въ Тифлисскомъ Ремесленномъ Собраніи, въ субботу, 29 декабря, семейно-дѣтскій вечеръ съ музыкою и сазандарами „Абдулъ-Баги“. За входъ: съ членовъ собранія, семейства ихъ и дѣтей по 30 коп., съ гостей, съ кавалеровъ — 1 руб., дамъ — 50 к. Начало въ 9 ч. вечера. Въ воскресеніе, 6 января, дѣтскій балъ съ ёлкою. (2—2)


*Доз. ценз. Тифлисъ, 29 Декабря 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი